ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

ა.ა. #146

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ **გიორგი მიქაუტაძეს**

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

(საერთო სასამართლოების სისტემაში, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დავებზე, ზეპირი მოსმენის გარეშე დანიშნული სხდომების შეჩერების შესახებ)

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 13 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაცია #1 „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ", რომლის 1-ელი მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ წარმოებაში არსებულ საქმეთა (გარდა შემჭიდროებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა) განხილვის გადადება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით და საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა საპროცესო კანონმდბელობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 მარტის #181 დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" #1 დეკრეტის მიხედვით, ამასთან, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის #2 ბრძანების პირობებში, საერთო სასამართლოების მხრიდან აქტიურად დაიწყო ისეთი საქმეების განხილვა, რომელიც შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დავებს.

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებს" მიაჩნია, რომ საერთო სასამართლოებმა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დავებზე, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის სრულ გაუქმებამდე, უნდა შეაჩერონ საქმისწარმოება, ვინაიდან ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეთა განხილვა და ფორმალური მართლმსჯაულების

განხორციელება, ლახავს ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას, შეჯიბრებითობასა და მტკიცების ტვირთის სამართლიან გადანაწილებას, რომელიც გამომდინარეობს საკუთრების უფლების დაცვისა და მასზედ შედავების შესაძლებლობებიდან. შესაბამისად, საჭიროა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ამ მიმართულებით, საერთო სასამართლოებს, დამატებით რეკომენდაცია მისცეს და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დავებზე, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმისწარმოების პროცესი შეაჩეროს.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს შემდეგი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც თითოეულ საქმეში, ინდივიდუალურად არსებობს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, *სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. ამავე* კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, *მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს: მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.* ამავე კოდექსის 368-ე მუხლის 1-ელი მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, *სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს: მითითებას, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.*

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებ, რომ არაერთ საქმეში **დადგენილია შემდეგი - მოსარჩელემ და მოპასუხემ, წარმოდგენილი სარჩელითა და შესაგებლით სარჩელზე, უარი განაცხადეს საქმის ზეპირი მოსმინის გარეშე განხილვაზე. ამდენად, ნების გონივრული განსჯის მიხედვით, ცალსახად დგინდება, რომ მხარეები სასამართლოსგან მოითხოვენ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას და აღნიშნული უფლებით, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, *საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაზე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე სასამართლომ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს.*

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებ, რომ არაერთ საქმეში **მხარეებს სასამართლოსთვის საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თანხმობა არ მიუციათ.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლის 1-ელი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, *საქმეს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად ამზადებს სააპელაციო*

სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე (მომხსენებელი მოსამართლე), რომელიც ამოწმებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას და გამოაქვს შესაბამისი განჩინება, გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო საჩივრისა და თანდართული დოკუმენტების ასლებს და დაუნიშნავს მას ვადას წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად, რომელიც უნდა შეიცავდეს პასუხებს შემდეგ კითხვებზე: ეთანხმება თუ არა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს; თუ არ ეთანხმება, რა გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი; ხომ არ აპირებს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შემოტანას, ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენას და, თუ აპირებს, რა მიზეზით არ წარმოადგინა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. სურს თუ არა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმის შესახებ, რომ არაერთ საქმეში სააპელაციო სასამართლოების მხრიდან იკვეთება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეების განხილვის შემთხვევები, დანიშნული სხდომები, როდესაც მხარეებს **არ ჩაბარებიათ და მათთვის უცნობია სააპელაციო საჩივრის და სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის მასალები.**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, *თუ სააპელაციო საჩივარი შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს მხარეებს. ზემოთ აღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაშიც მოსამართლეს უფლება აქვს, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენით.*

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს იმ გარემოებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმე სასამართლომ განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას და არა - ვალდებულებას. ეს პირდაპირ კავშირშია სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობასთან და არსებითად არღვევს დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. დავის საგანი შეეხება ქონებრივ უფლებებს, იურიდიულ ინტერესს საკუთრებაზე, რომლის გამოთხოვისა და დავის მორიგებით დასრულების მიზნით, შესაძლებელია, მხარეები, ასევე მორიგდნენ, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა, მხარეთა თანხმობის გარეშე კი, სასამართლოს მხრიდან ამ შესაძლებლობის მოსპობას წარმოადგენს.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" **www.barristers.ge**

აღიარებული პრინციპის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

თუ სასამართლო საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს, მხარეებს არსებითად დაერღვევა ამ უფლებით სარგებლობის საშუალება. ვინაიდან სასამართლოსადმი მიმართვა არ არის აბსტრაქტული უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა უშუალოდ დაკავშირებულია მხარის მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებასთან, საქართველოს იუსტიციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, უნდა მოხდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დავებზე საქმისწარმოების პროცესის შეჩერება.

ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული არ არის, თუ რა აუცილებელ ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება საქმეზე ზეპირი მოსმენის გარეშე სხდომის მოწვევა. ასეთი გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს საქმის განხილვის საპროცესო ვადების დარღვევის საშიშროებიდან, ხოლო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი, განსახილველ შემთხვევაში, თუ ის კონფლიქტში მოდის მხარის ფუნდამენტურ საპროცესო უფლებების განხორციელების შეუძლებლობასთან ან დარღვევასთან, ვერ იქნება გაზიარებული. ამ შემთხვევაში, სასამართლო თავად დაარღვევს პროცესის მონაწილე ერთ-ერთი მხარის კონსტიტუციურ უფლებას მაინც. აღნიშნულს თან ემატება დაცვის უფლების სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობის ხელმიწვდომლობა, ვინაიდან შექმნილი ვითარების პირობებში, წარმომადგენლების გადაადგილების, მხარეებთან კონტაქტი და მასალებთან წვდომა, შეზღუდულია.

ამდენად, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ თხოვნით, მიღებულ იქნეს რეკომენდაცია, საქართველოში საგანგებო მდგომარეობის სრულად გაუქმებამდე, საერთო სასამართლოების სისტემაში ზეპირი მოსმენის გარეშე, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დავებზე საქმისწარმოების შეჩერების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოს მიმართ მხარეთა ნდობის განმტკიცებას და ამაღლებას.

პატივისცემით,
არჩილ კაიკაციშვილი

Tbilisi, Georgia, Zurab Chavchavadze str. #12
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 599 291202

„ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელი

11 მაისი, 2020 წ.

ქ. ქობულეთი